სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/390

ქ. თბილისი 10 დეკემბერი 2019

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-17[1] მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 დეკემბრის №01-05-02/27 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეიქმნას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭო;
2. №1 დანართის შესაბამისად დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) და წევრთა არჩევის წესი, კრიტერიუმები და მათი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-17[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება;
4. დადგენილება ძალაშია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**

დანართი №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) და წევრთა არჩევის წესი, კრიტერიუმები და მათი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები

მუხლი 1. წესის მოქმედების სფერო

წინამდებარე წესი ადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) და წევრთა არჩევის წესს, კრიტერიუმებს და მათი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებს.

მუხლი 2. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) მიმართ წასაყენებელი კრიტერიუმები

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ (პრეზიდენტი) შეიძლება არჩეულ იქნეს აკადემიურ წრეში ცნობილი, მაღალი რეპუტაციის მქონე მეცნიერი/მკვლევარი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 15 და ორგანიზაციული მართვის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება;

მუხლი 3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მიმართ წასაყენებელი კრიტერიუმები

1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად შეიძლება არჩეულ იქნენ უნივერსიტეტის აკადემიური ან/და სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, უცხოელი და ადგილობრივი ექპერტები;
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც შეირჩევა უნივერსიტეტის აკადემიური ან/და სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლებისგან, უნდა იყოს დარგის ცნობილი სპეციალისტი, სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილებით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც შეირჩევა უცხოელი და ადგილობრივი ექპერტებისგან, უნდა იყოს დარგის აღიარებული სპეციალისტი, მეცნიერი, ბიზნეს-პროცესების მართვის კვალიფიციური საექსპერტო გამოცდილების მქონე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები უნდა გამოირჩეოდნენ სიტუაციის საფუძვლიანი ანალიზისა და სტრატეგიული დაგეგმვის უნარით.

მუხლი 4. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) არჩევის წესი

1. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს (პრეზიდენტი) წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წარდგინებით ირჩევს აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უმრავლესობით, 4 წლის ვადით;
2. წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი), სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) კანდიდატურის შერჩევის მიზნით, აცხადებს კონკურსს. კონკურსის ფორმატი და მისი ჩატარების ვადა განისაზღვრება წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) გადაწყვეტილებით;
3. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობის (პრეზიდენტი) კანდიდატის ინიცირების უფლება აქვს:
   - უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს;
   - უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს;
   - უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის არანაკლებ 10-კაციან საინიციატივო ჯგუფს;
   - წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრს;
   - კანდიდატობის მსურველს.
4. წარმოდგენილი კანდიდატებიდან წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უმრავლესობით შერჩეულ კანდიდატს წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის წესი

1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს 4 წლის ვადით ფარული კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) წარდგინებით;
2. ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატებს შეარჩევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (პრეზიდენტი).

მუხლი 6. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) და წევრთა თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) და წევრთა ვადამდე გათავისუფლების საფუძვლებია:

ა) ვადის ამოწურვა;

ბ) პირადი სურვილი;

გ) სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;

დ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, შეზღუდულ

ქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, ან გარდაცვლილად გამოცხადება;

ე) ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

ვ) გარდაცვალება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.